ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3250084

ნომერი: AR1498438

თარიღი : 25.04.2017

გაცემის თარიღი : 08.05.2017

გაცნობის თარიღი : 10.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ფაღავას ქუჩა N15/7 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლაგოდეხის , N 6 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ლაგოდეხის , N 4 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეონა წოწოლაშვილი პ/ნ 35001015802
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 29/7 ბ. 29

ორგანიზაცია:

- შპს "ოპოცენტრი" კოდი: 405056460

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 ნოემბრის №2944102 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 25 აპრილს #AR1498438 განცხადებით მომართა შპს „იპოცენტრი”-ს აღმასრულებელი დირექტორის ალმას სეიტკაზინოვის მინდობილმა პირმა თეონა წოწოლაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 ნოემბრის №2944102 ბრძანებაში ცვლილების განხორციელება, ახალი საკადასტრო ერთეულის დაფიქსირების მიზნით.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 ნოემბრის №2944102 ბრძანებით, ქ. თბილისში, ლაგოდეხის ქუჩა, N 6-ში, ლაგოდეხის ქუჩა N4-ში, ფაღავას ქუჩა N15/7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: #01.17.01.095.002 (827 კვ.მ.); #01.17.01.095.004 (175 კვ.მ.); #01.17.01.095.001 (441 კვ.მ.) სასტუმროს განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)-ის, საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5)-ის და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1)-ის შესაბამისი პირობებითა და პარამეტრებით.
ვინაიდან, მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 18 ნოემბრის #1–2278 ბრძანებით გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სასტუმროს ასაშენებლად საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5)–ის არეალში.
სამსახურში განაცხადის წარმოების პერიოდში განხორციელდა საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5)–ის ცვლილება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ–2)-ად, გამომდინარე აქედან საკითხის განხილვა შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 18 ნოემბრის N1-2278 ბრძანებაში ცვლილების შეტანის გარეშე (განახლებული საკადასტრო მონაცემების (საკადასტრო კოდი: #01.17.01.095.012) დაფიქსირებისთვის).

დღევანდელი მდგომარეობით მიწის ნაკვეთები გაერთიანებულია და მთლიან ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1). ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია 2016 წლის 21 ნოემბრის №2944102 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 ნოემბრის №2944102 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.17.01.095.012; ფართობი 1443კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი #882017297604, რეგისტრაციის თარიღი 13/04/2017წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის ნომერი #882017297604, რეგისტრაციის თარიღი 13/04/2017წ.);
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 ნოემბრის №2944102 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ფუნქციურ ზონად დაფიქსირდეს: საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ–1) შესაბამისი პირობებითა და პარამეტრებით;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 ნოემბრის №2944102 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს დოკუმენტი: ფუნქციურ ზონებს შორის საზღვრის სქემატური ნახაზი (იხილეთ დანართი).
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 ნოემბრის №2944102 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი: დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, საპროექტო ნაგებობის განთავსება განხორციელდეს სსზ–2–ის არეალში.
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 ნოემბრის №2944102 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებული იქნეს შემდეგი ჩანაწერი: “1.გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება სასტუმროს ასაშენებლად საცხოვრებელი ზონა 5 (სზ–5)–ის არეალში; 2. დაცულ იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი,

საპროექტო ნაგებობის განთავსება განხორციელდეს სზ–5–ის და სსზ–2–ის არეალში (იხ. დანართი)”.
6. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 21 ნოემბრის №2944102 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.